



gamomcemeli: Sps 'biznes intel eqti -
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i Jurnal i
 'gadasaxadebi -

registrirebul ia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical magazine 'Gadasakhadebi

mTavari redaqtori:
 daviT jal aRonia,
 sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebel i mdivani
 marine xubua, asocierebul i profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
 asocierebul i profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
 nazi gomel auri
Technical Editor: Nazi Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
 asocierebul i profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
 devi Sonia, asocierebul i profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
 el guja qavTaraZe, asocierebul i profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

Jurnal i „gadasaxadebi -
 registrirebul ia
 s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqci o kol egi a
EDITORIAL BOARD

Tavmj domare: profesori daviT jal aRonia
Chairman: professor David Jalagonia

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
 profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminj ia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapi Ze	Shota Veshapidze
l arisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab l i partia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vl adimer RI onti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
mi xeil cikvil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJel ika krutova - xarkovi, ukraina
 Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine

kerimovi el sever nariman oRI i -
 baqo, azerbaijani
 Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps 'biznes intel eqti -
 mimRebis IBAN angariSiS # GE30BR0000010679562042
 mimRebis banki: s.s banki 'respublika -
 bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
 Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
 Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
 Correspondent acc. No: 00195464
 SWIFT: REPL GE 22
 T/Fax: 00995 32 2374733 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvani l faqtetba da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtoril.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 12 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 12

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

ekonomi kuri qroni ka / **Economic chronicles** -----5-10

auqci oni / **auCTION**-----11-13

o f i c i a l u r i d o k u m e n t e b i / **Formal documents**

o f i c i a l u r i d o k u m e n t e b i -----14-66

i n s t r u c q i a / **Instructions** -----67-82

mecni ereba: Teori a, meT odol ogi a, meT od i k a, praqt i k a

Science: theory, methodology, techniques, practice

Ирма Дихаминджия,

*Доктор экономики, Ассоциированный Профессор Сухумского Государственного
Университета*

Барыбина Янина Александровна,

кандидат экономических наук, доцент

*кафедра менеджмента Высшего учебного заведения Укоопсоюза “Полтавский
Университет Экономики и Торговли”*

Интеллектуальный капитал, как источник конкурентного

преимущество компании ----- 83-89

ki Txva - pasuxi / **Questions and answers** -----90-91

Jurnal `gadasaxadebi s- reda qci aSi Semosul `Seki Txvebs pasuxobs Cveni eqsper ti,
Semosavl ebis samsaxuris auditis departamentis auditori - besik mi qel aZe

val utis kursi / **Exchange rate** ----- 92

gadasaxadebi #3, dama t e b a #1

GADASAKHADEBI #3, EDDITION #1



ECONOMIC NEWS

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო
ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ საგაზაფხულო
შეხვედრაში მონაწილეობს

16 aprili 2015



დღეს დაიწყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ის მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ საგაზაფხულო შეხვედრაში.



ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მაღალი დონის ორმხრივი მოლაპარაკებები. ფინანსთა მინისტრი შეხვდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს სერ სუმა ჩაკრაბარტი (Suma Chakrabarti), საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს მენო შნელს (Menno Snel), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორს მასუდ აჰმედს (Masood Ahmed), აგრეთვე მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორს ფრანკ ჰემსკერკს (Frank Heemskerk), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტს დიმიტრის ციცირაგოსს (Dmitris Tsitsiragos), მსოფლიო ბანკის მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) ვიცე-პრეზიდენტს კეიკო ჰონდას, მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში ლორა ტაკს (Laura Tuck) გაიმართება მოლაპარაკებები სარეიტინგო კომპანიების Moody's,-ის S&P-ისა და Fitch-ის, სხვადასხვა საინვესტიციო კომპანიების, მათ შორის, J.P Morgan-ის, CitiBank-ის, წარმომადგენლებთან და სხვა.

ვიზიტის ფარგლებში ნოდარ ხადური ასევე შეხვდება უკრაინელ კოლეგას - უკრაინის ფინანსთა მინისტრს ნატალია იარესკოს (Natalie Jaresko) და კოლეგებს აზერბაიჯანის ფინანსთა სამინისტროდან.



EBRD-ის პრეზიდენტი: საქართველოში ინვესტირებისთვის კარგი გარემოა

17 აპრილი 2015



ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტს, სერ სუმა ჩაკრაბარტის (Suma Chakrabarti) შეხვდა.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და თბილისში დაგეგმილი EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის დეტალები განიხილეს. EBRD-ის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა და საქართველოს ფინანსთა მინისტრსა და მოსამზადებელ ჯგუფს დღემდე გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა.

"საქართველო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საიმედო პარტნიორია. ძალიან მნიშვნელოვანია ის ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნესფორუმი, რომელიც რამდენიმე კვირაში სწორედ საქართველოში გაიმართება. ჩვენ 1500-მდე ბიზნესმენი, ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი მოვიწვიეთ, რათა გავეცნოთ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს, თქვენი ქვეყნის მიღწევებსა და საინვესტიციო შესაძლებლობებს. გასულ წელს ბანკმა წარმატებით განახორციელა 215 მლნ ევროს ღირებულების პროექტები სხვადასხვა სექტორში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინვესტირებისთვის კარგი გარემოა," - განაცხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა, სერ სუმა ჩაკრაბარტიმ.



„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. მათი მხარდაჭერით საქართველოში ბევრი პროექტი ხორციელდება, მათ შორის, საკმაოდ დიდი მოცულობის ინვესტიციები - კერძო სექტორში. უახლოეს პერიოდში ბანკი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში კიდევ რამდენიმე მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. EBRD-ის ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნესფორუმის ჩატარება თბილისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტიმული და შესაძლებლობა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის მოიზიდოს ახალი ინვესტიციები,“ - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

როგორც შეხვედრაზე აღნიშნა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზადაა გააგრძელოს პროექტების დაფინანსება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. როგორც EBRD-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოს მიმზიდველი ბიზნეს გარემოს გამო, არაერთი უცხოური კომპანიის დაინტერესებაა სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის დაფინანსების კუთხით. მან იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელებას ასევე ხელს შეუწყობს ინვესტორთა საბჭო, რომლის შექმნაც EBRD-ის ინიციატივითა და მხარდაჭერით უახლოეს მომავალში იგეგმება.

ფინანსთა მინისტრი ასევე შეხვდა მსოფლიო ბანკის მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) ვიცე-პრეზიდენტს, კეიკო ჰონდას. შეხვედრაზე ქვეყანაში მსხვილი უცხოური ინვესტიციების დაზღვევის პერსპექტივასა და ამ კუთხით MIGA-ს მხარდაჭერაზე ისაუბრეს. როგორც MIGA-ს ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, MIGA მზადაა გაზარდოს პორტფელი საქართველოში.



ფინანსთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრები ამერიკის შეერთებულ შტატებში

18 აპრილი 2015

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა შეხვედრა გამართა მსოფლიო ბანკის ტრანსპორტისა და ICT-ის ჯგუფის (Global Practice) დირექტორთან პიერ გიუსლაინთან (Mr. Pierre Guislain), ასევე გლობალური ინფრასტრუქტურის ინსტრუმენტის (Global Infrastructure Facility) ხელმძღვანელთან ჯორდან შვარცთან (Mr. Jordan Schwarz).

მსოფლიო ბანკის ტრანსპორტისა და ICT-ის ჯგუფის (Global Practice) დირექტორთან გამართულ მოლაპარაკებებზე ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის შესახებ. მსოფლიო ბანკის ტრანსპორტისა და ICT-ის ჯგუფის მხრიდან ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან ფუნქციას გლობალურ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში და გამოითქვა სურვილი, მსოფლიო ბანკის აღნიშნული ჯგუფი უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ მიმართულებით განხორციელებულ პროექტებში. გლობალური ინფრასტრუქტურის ინსტრუმენტის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე ისაუბრეს GIF-ის მიერ საქართველოში დასაფინანსებელი პოტენციური პროექტების შესახებ. როგორც GIF-ის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ისინი მზად არიან განიხილონ პროექტები, რომელიც მიწოდებული იქნება ქართული მხარის მიერ. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველო იქნება იმ ქვეყნებს შორის, სადაც GIF-ის მიერ პროექტები განხორციელდება. ფინანსთა მინისტრმა კი მომავალი თანამშრომლობის კუთხით სრული მზადყოფნა დააფიქსირა.

კიდევ ერთი შეხვედრა ფინანსთა მინისტრმა მსოფლიო ბანკის ჯგუფის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქართველ თანამშრომლებთან გამართა, სადაც ისაუბრეს ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და მთავრობის მიერ ეკონომიკის სტაბილიზაციისა და განვითარებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებზე.





საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიაზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

15 აპრილი, 2015

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით 15 აპრილს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფისში შედგა.

სტრატეგიის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი იქნება ის პრიორიტეტული მიმართულებები და განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელზეც საქართველოს მთავრობა აქტიურად იმუშავებს მომდევნო წლების განმავლობაში.

დოკუმენტის შემუშავებაში, გარდა სამთავრობო ინსტიტუტებისა, კერძო სექტორის წარმომადგენლები და დონორი ორგანიზაციებიც იღებენ მონაწილეობას.

შეხვედრას დაესწრნენ როგორც სამთავრობო უწყებების და ბიზნეს-სექტორის, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ევროკომისიის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მსოფლიო ბანკისა (WB) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით 15 აპრილს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფისში შედგა.

სტრატეგიის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი იქნება ის პრიორიტეტული მიმართულებები და განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელზეც საქართველოს მთავრობა აქტიურად იმუშავებს მომდევნო წლების განმავლობაში.

დოკუმენტის შემუშავებაში, გარდა სამთავრობო ინსტიტუტებისა, კერძო სექტორის წარმომადგენლები და დონორი ორგანიზაციებიც იღებენ მონაწილეობას.



შეხვედრას დაესწრნენ როგორც სამთავრობო უწყებების და ბიზნეს-სექტორის, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ევროკომისიის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მსოფლიო ბანკისა (WB) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

07.04.2015

2015 წლის 7 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა **26 000 000** ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი **7.390** პროცენტით, მაქსიმალური **7.980** პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - **7.559** პროცენტით განისაზღვრა.

კუპონურმა განაკვეთმა **7.500** პროცენტი შეადგინა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

15.04.2015

2015 წლის 15 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა **19 250 000** ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი **9.950** პროცენტით, მაქსიმალური **10.450** პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - **10.263** პროცენტით განისაზღვრა.

კუპონურმა განაკვეთმა **10.250** პროცენტი შეადგინა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.




ფულადი გზავნილები მარტში

15.04.2015

2015 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ **92.2** მლნ აშშ დოლარი, ანუ **202.0** მლნ ლარი შეადგინა, რაც **28.4** მლნ აშშ დოლარით (**62.2** მლნ ლარით), ანუ **23.5** პროცენტით ნაკლებია **2014** წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნების მიხედვით



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების **91.6** პროცენტი იმ **12** უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მარტში **1** მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე **12** ქვეყანაზე გასული წლის მარტში მთელი ფულადი გზავნილების **93.6** პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა მარტი, 2015, მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში, %	
		მარტი, 2014	მარტი, 2015
სულ	92.2	100.0	100.0
რუსეთი	34.3	49.4	37.2
საბერძნეთი	14.3	14.9	15.6
იტალია	8.9	8.8	9.6

აშშ	8.5	5.3	9.2
თურქეთი	6.6	4.5	7.2
ისრაელი	2.6	1.5	2.8
ესპანეთი	2.1	2.1	2.3
გერმანია	2.0	1.6	2.2
უკრაინა	1.6	2.5	1.7
აზერბაიჯანი	1.3	1.0	1.4
გაერთიანებული სამეფო	1.2	1.0	1.3
ყაზახეთი	1.1	1.0	1.2

2015 წლის მარტში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.4 მლნ აშშ დოლარი (33.7 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 14.2 მლნ აშშ დოლარისა (24.6 მლნ ლარისა) გასული წლის მარტში.





საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 292-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების/საგადასახადო დავალიანების ნაწილის შემცირების მიზნით.“.

2. 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 79-ე–81-ე ნაწილები:

„79. დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) უძრავი ქონება მიწოდებულ იქნა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში;

ბ) მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტში ან იმ ობიექტში, რომელზედაც, 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით, საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, მშენებლობის ნებართვა კი შემდგომ გაიცა;

გ) უძრავი ქონების მიწოდების განმახორციელებელი პირი არის ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელი (იგი შეიძლება არ იყოს ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის/საპროექტო დოკუმენტაციის (არქიტექტურული პროექტის) მფლობელი);



დ) იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს **2018 წლის 1 იანვრამდე** გამოსცემს;

ე) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, მთლიანად ან ნაწილობრივ საცხოვრებლადაა განკუთვნილი;

ვ) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, ამ მუხლის **81-ე** ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი.

80. ამ მუხლის **79-ე** ნაწილის შესაბამისად დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული უძრავი ქონების მიწოდების განმახორციელებელი პირისათვის იმ ობიექტთან დაკავშირებით გაწეული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება, რომელიც ამ მუხლის **81-ე** ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი, გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით.

81. ამ მუხლის **79-ე** და მე-**80** ნაწილებით გათვალისწინებული შეღავათების გამოსაყენებლად იმ ობიექტების ნუსხას, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მუხლის **79-ე** ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანო.“.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ორგანოებმა ამ კანონის ამოქმედებიდან **1** თვის ვადაში უზრუნველყონ:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის **309-ე** მუხლის **81-ე** ნაწილით გათვალისწინებული ნუსხის განსაზღვრა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – შემოსავლების სამსახურისთვის მიწოდება;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნუსხის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-**2** ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის **309-ე** მუხლის **79-ე-81-ე** ნაწილების მოქმედება გავრცელდეს **2015 წლის 1 იანვრიდან** წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3407-III



საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 58-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის და მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო ვალდებულების შესრულება“;

ბ) მე-3-მე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო ვალდებულებას მხარდაჭერის მიმღების ქონების ხარჯზე ასრულებს მისი მხარდამჭერი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო დავალიანებას მხარდაჭერის მიმღების ქონების ხარჯზე იხდის მისი მხარდამჭერი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.“

4. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის საგადასახადო დავალიანება უიმედო საგადასახადო დავალიანებად ითვლება და ჩამოიწერება, თუ მისი ქონება საგადასახადო დავალიანების დასაფარავად არასაკმარისია და მხარდაჭერის მიმღების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. სასამართლოს მიერ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება აღდგება.

6. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ან მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო დავალიანება არის სასამართლოს მიერ მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 309¹ მუხლი:

„მუხლი 309¹. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში



1. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ცნობილი პირის საგადასახადო ვალდებულებას ქმედუწაროდ პირის ქონების ხარჯზე ასრულებს მისი მეურვე, სანამ ამ ქმედუწაროდ პირის ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.

2. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ცნობილი პირის საგადასახადო დავალიანება უიმედო საგადასახადო დავალიანებად ითვლება და ჩამოიწერება, თუ მისი ქონება საგადასახადო დავალიანების დასაფარავად არასაკმარისია, სანამ ამ ქმედუწაროდ პირის ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.

3. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ცნობილი პირის ინდივიდუალური შეფასების შედეგად გადაწყვეტილების მიღების დღიდან ჩამოწერილი საგადასახადო დავალიანება აღდგება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწაროდ ცნობილი პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი ქმედუწაროდ ცნობის თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3349-IIIს





საქართველოს კანონი

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 16.06.2003, მუხ. 113) 10¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისას, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3376-III

საქართველოს კანონი

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96, გვ. 17) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3. თუ მესაკუთრეს რჩება მემკვიდრე, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, სახელმწიფო არ გამოიყენებს უპირატესი გამოსყიდვის უფლებას მანამ, სანამ არ დადგინდება, შეუძლია თუ არა მემკვიდრეს, დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას.“.

2. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. თუ მესაკუთრეს რჩება 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი მემკვიდრე, სახელმწიფო არ გამოიყენებს უპირატესი გამოსყიდვის უფლებას მანამ, სანამ არ დადგინდება, შეუძლია თუ არა მემკვიდრეს, დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3391-IIIს

საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №003, 27.03.96, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 4¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად არ ცნო და სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38¹ მუხლი:

„მუხლი 38¹. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ:



ა) იგი არ არის **2015 წლის 1 აპრილამდე** სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი;

ბ) იგი ნასამართლევი არ არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

გ) მას აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;

დ) იგი ამავე დროს არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ კომერციული ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება ეს კომერციული ბანკი.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს **2015 წლის 1 აპრილიდან**.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3392-III

საქართველოს კანონი

„ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, **1994–1995, №N27–30, მუხ. 597**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**3. უფლებამოსილი პირის ინდოსამენტი არ კარგავს ძალას არც თავდების გარდაცვალების და არც სასამართლოს მიერ მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში.**“.



2. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. გაცემული ჩეკის მოქმედება გაცემული ჩეკი ძალაში რჩება როგორც ჩეკის გამცემის გარდაცვალების, ისე სასამართლოს მიერ მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3394-III

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის 7¹ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) რეგისტრირებული პირი გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადებულია გარდაცვლილად, მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერა აქვს დანიშნული.“.

2. 14³ მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება ან მისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნა.“;



ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალების, სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების ან მისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.“.

3. 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს თავისი ხმის უფლება. სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მხარდაჭერის დანიშვნისას მხარდაჭერის მიმღების ან/და შეზღუდულქმედუნარიანი ფიზიკური პირის ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიული პირის ხმის უფლებას ახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების ხმის უფლებას ახორციელებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა ნოტარიულად უნდა დამოწმდეს.“.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 69¹ მუხლი:

„მუხლი 69¹. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ხმის უფლებას ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი, სანამ ქმედუუნარო პირის ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 მარტი 2015 წ.

N3395-III

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №87**

2015 წლის 5 მარტი, ქ. თბილისი

„დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №141 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/04/2012, 040030000.10.003.016814) და ამ დადგენილებით დამტკიცებული:

1. „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის“ (დანართი №1):

ა) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ქონების ინტერნეტაუქციონის მეშვეობით, რეალიზაცია შესაძლებლობით „იყიდე ახლავ“ (ე.წ. „Buy It Now“).“;

ბ) მე-5 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება წინასწარ, გარდა ამ მუხლის მე-2, 2¹ და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„2. კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების №2 დანართის მე-3 გრაფით გათვალისწინებული პროცენტი გადაიხდება ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ინტერნეტაუქციონის პროცედურების დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.“;

ბ.გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის საჯარო აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების №2 დანართის მე-6 გრაფით გათვალისწინებული პროცენტი გადაიხდება საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, აუქციონის დასრულების დღიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.“.

2. „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობის“ (დანართი №2):

ა) მე-2 და მე-3 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2	ადმინისტრაციული ორგანოსათვის (გარდა ამ დანართის მე-10 – მე-13 და მე-16 გრაფებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებისა), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისათვის ინტერნეტაუქციონის ჩატარება	50 ლარი	250 ლარი	3 000 ლარი
3	კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის (გარდა ამ დანართის მე-2 და მე-14 გრაფებით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისა), ინტერნეტაუქციონის ჩატარება	100 ლარი; ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	200 ლარი; ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	2 400 ლარი; ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%“;

ბ) მე-6 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„6	იურიდიული პირისათვის საჯარო აუქციონის შესახებ ვებგვერდზე განთავსება და საჯარო აუქციონის ჩატარება ან საჯარო აუქციონის ჩატარება	150 ლარი;	450 ლარი (არა უმეტეს 10 აუქციონი);	1 500 ლარი (არა უმეტეს 120 აუქციონი);
		საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%

გ) მე-16 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 და მე-18 გრაფები:

„17	ფიზიკური პირისათვის ინტერნეტაუქციონის რეალიზაცია, შესაძლებლობით „იყიდე ახლავე“ („Buy It Now“)	3 ლარი	60 ლარი	600 ლარი
18	კერძო სამართლის პირისათვის ინტერნეტაუქციონის რეალიზაცია , შესაძლებლობით „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“)	100 ლარი;	200 ლარი;	2 400 ლარი;
		გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%	გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%	გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



დანართი №I-09

შემოსავლების სამსახური

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(საგადასახადო ორგანოს მისამართი)

საგადასახადო მოთხოვნა №

		20
--	--	----

(რიცხვი)

(თვე)

(წელი)

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:

(დასახელება/სახელი და გვარი)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(მისამართი)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე,
(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა,
რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის/სანქციის
დარიცხვა)

გადასახდელად დაგერიცხათ (გერიცხებათ):

გადასახადის დასახელება	გადასახადის ძირითადი თანხა	ჯარიმა	საურავი	სულ	შენიშვნა
სულ					

აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნა უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან **30** დღის ვადაში.
საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება თქვენ მიერ საგადასახადო მოთხოვნაში
აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან.

საგადასახადო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება
საქართველოს საგადასახადო კოდექსის **238**-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო
დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

შეფარდებული სანქციის სახე (გარდა ჯარიმისა და საურავისა):

(გაფრთხილება, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა)

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის
41-ე და **43**-ე მუხლებით.

საგადასახადო მოთხოვნა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო დოკოდექსის **XIV**
კარით დადგენილი წესით, საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან **30** დღის ვადაში, საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის
გზით. აგრეთვე, სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე:

(ხელმოწერა)


ბ.ა



დანართი №III-26
წინა მხარე

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის
დაბრუნების სპეციალური ქვითარი

Value Added Tax (VAT) Refund Receipt



სავაჭრო ობიექტის სახელწოდება/Store name:	სახელი, გვარი/Name:
მისამართი/address:	პასპორტის ნომერი/Passport Number:
შეფუთვის რაოდენობა / Number of packets:	მისამართი/Address:
გაბარიტული საქონელი / Over-sized good:	მოქალაქეობა/Citizenship:

საქონლის დეტალები/Product details:

საქონლის დახასიათება / Product description	რაოდენობა / Qty	ჯამური ღირებულება / Total price	დასაბრუნებელი დღგ/ VAT Refund
გადახდილი თანხა დღგ-ის გარეშე/Payment without VAT			
დღგ/VAT			
შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასური/Georgia Revenue Service Service Fees			
ბანკის საკომისიო/Bank Fee			
დასაბრუნებელი დღგ სულ / Total VAT Refund			
შემოსავლების სამსახურის აღნიშვნებისათვის/Georgia Revenue Service Remarks			
მალაზიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, ბეჭედი / Store Authorised Person's Signature, Stamp:	მყიდველის ხელმოწერა/ Buyer's Signature:	შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, ბეჭედი / Revenue Service Authorised Person's Signature, Stamp:	

გაფრთხილება!Warning!

თქვენ უარს გეტყვიან დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე თუ არ აკმაყოფილებთ შესაბამის პირობებს / You will be denied refund if you do not meet terms & conditions; აკრძალულია მესამე პირისთვის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაცემა მას შემდეგ, რაც მიიღებთ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ბეჭდიან ქვითარს / It is **prohibited** to pass goods to the third party on the Georgian territory once you have obtained the stamped receipt **by responsible person of Revenue Service.**



უკანამხარე

პირობები

იმისთვის რომ უფლება გქონდეთ მოითხოვოთ გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება, უნდა იყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქე;

დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება საქონელზე და არა მომსახურებაზე;

საქონელი უნდა შეიძინოთ იმ მაღაზიაში, რომელსაც აქვს დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის უფლება და საქონლის მიწოდება უნდა იბეგრებოდეს დღგ-ით; შესყიდვის ღირებულება უნდა აღემატებოდეს **200** ლარს (დღგ-ის გარეშე) ერთი ქვითრის მიხედვით;

ნაყიდი საქონელი უნდა იყოს განკუთვნილი ქვეყნიდან გასატანად;

დღგ-ის თანხის დაბრუნებას არ ექვემდებარება მალფუჭებადი საქონელი, სატრანსპორტო საშუალება, ოქრო (რომლის მასაც აღემატება **125** გრამს და რომელიც არ არის წარმოდგენილი სამკაულის (ნაკეთობის) სახით), ძვირფასი ქვები, საქონელი, რომლის გატანა საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, საქართველოს კანონმდებლობით დღგ-საგან გათავისუფლებული საქონელი;

საქონლის გატანა უნდა მოხდეს ყიდვიდან არა უგვიანეს სამი თვისა;

საქონელი უნდა იყოს მოთავსებული სპეციალურ დალუქულ პარკში, რომელშიც გამყიდველი ჩადებს საქონელს და ლუქის სიმრთელე უნდა იყოს შენარჩუნებული;

თქვენ უნდა იქონიოთ დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი;

დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალურ ქვითარში ასახული საქონელი სრულად უნდა იქნეს გატანილი საქართველოს ტერიტორიიდან.

როგორ მოითხოვოთ დღგ

ვიდრე ჩააბარებთ ბარგს, მიაკითხოთ საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის ოფისს ქვეყნიდან გასვლის ბოლო საბაჟო გამშვებ პუნქტზე და წარუდგინეთ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს (ოფიცერს) დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითარი, პასპორტი და ბილეთი;

ხელთ გქონდეთ ნივთები, რომლებზეც დღგ-ის ითხოვთ, ვინაიდან ოფიცერს აქვს უფლება ფიზიკურად დაათვალიეროს ისინი;

ოფიცერი ბეჭედს დაარტყამს ქვითარს დასტურის ნიშნად და ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ჩააბაროთ ბარგი და გაიაროთ საპასპორტო კონტროლი;

თქვენ შეგიძლიათ ნაღდი ფულის სახით ანაზღაურების მიღება ბანკში მას შემდეგ, რაც გაივლით საპასპორტო კონტროლს, ხოლო საზღვაო ნავსადგურებში, თუ საპასპორტო კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტზე -საბაჟო კონტროლის შემდეგ, ან მოითხოვოთ თანხის გადარიცხვა თქვენს ანგარიშზე, რომელიც დაგებრუნდება არა უგვიანეს **30** დღისა.

Terms & Conditions

In order to be eligible for VAT refund, you have to be a foreign citizen;

VAT can be claimed only on goods and not on services; You must have purchased item from the store with the right to issue VAT refund check and the item must be subject to VAT;

Value of purchase must be above 200 GEL (not considering VAT) per receipt;

Item you have purchased has to be intended **for export**; VAT Refund does not apply to perishables, transport means, gold (weighing more than 125 gram and that is not presented as jewelry), precious stones, products requiring special licenses and permits for export, **VAT exempted goods according to Georgian Legislation**;

Item has to be exported within maximum three months from the date of purchase;

Item has to be retained in the special sealed plastic bag, in which the sale assistant places your purchase and the integrity of seal must be maintained;

You must have special VAT refund receipt with you;

All goods presented into special VAT refund receipt must be exported out of Georgia.

How to Claim

Before you check in your luggage, visit desk of Customs **Department** Office at your last customs check point of departure from the country and present your VAT forms, passport and ticket to the customs officer;

Have items, on which you are claiming VAT refund, handy as the customs officer has right to physically check them;

The officer will **stamp** the receipt as the sign of approval and afterwards you can proceed with checking in your luggage and go through the immigration;

You can obtain cash refund in the bank after you have passed passport control, In the case of sea ports, when passport control is performed on sea transport - refund should be done after completion of customs control, or you can ask to transfer money on your personal account (money will be transferred within 30 days).

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №130**

2015 წლის 25 მარტი, ქ. თბილისი

**„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭოს
შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში (სსმ, 172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლაშა ხუციშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა ბარათაშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

დავით გაბლიშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაგების განხილვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

დავით მოლოდინი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზვიად კორძაია – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;

გიორგი მალძიგაშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;

ზვიად ჭუნაშვილი – ეკონომიკური საბჭოს აპარატის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მრჩეველი;



მირიან გამეზარდაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

მიხეილ ადეიშვილი – საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ნინო ფოფიაშვილი – საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის ექსპერტი საგადასახადო საკითხებში;

დავით ცერცვაძე – სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე;

გიორგი ფერაძე – სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №134

2015 წლის 26 მარტი, ქ. თბილისი

„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №275 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №275 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 10.04.2014, სარეგისტრაციო კოდი: 200030000.10.003.017895) დამტკიცებულ, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:



„1¹. საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება, გადასახადის გადამხდელის მიერ, ითვლება შესრულებულად, თუ ბანკში თანხის შეტანა და სათანადო საგადახდო დავალების გამოწერა განხორციელდა საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის ბოლო დღის **24** საათამდე.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №135

2015 წლის 26 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული - „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



2	პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება	1 წელი	<p>მსხვილი გადამხდელის სტატუსის მქონე პირებისათვის ან/და</p> <p>3 000 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე პირისათვის – 3 000 ლარი;</p> <p>1 000 000 ლარიდან 3 000 000 ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე პირებისათვის – 2 000 ლარი;</p> <p>გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირებისათვის (გარდა, მეწარმე ფიზიკური პირებისა) - 500 ლარი; სხვა პირებისათვის – 1 000 ლარი.</p> <p>შენიშვნა: საფასურის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის, მხედველობაში მიიღება პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ბოლო წლიური საგადასახადო დეკლარაციის მონაცემები“.</p>
---	--	--------	--

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №142**

2015 წლის 30 მარტი, ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.10.003.017173) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹. ყოველ წელს, კერძო სკოლებზე გასაცემ ვაუჩერის ოდენობას დააკლდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების ბეჭდვისა და აკინძვის ღირებულების პროპორციული თანხა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და კერძო სკოლას შორის გაფორმებული, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი**ირაკლი ღარიბაშვილი**



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №144

2015 წლის 30 მარტი, ქ. თბილისი

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გამლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშვალდებულების გამლიერების მიზნით:

მუხლი 1

ყოველი წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს წინადადებებს საქართველოს მთავრობისათვის, გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან მიმართებაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე.

მუხლი 2

საქართველოს მთავრობა განიხილავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ წინადადებებს და განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში ასახვის მიზნით.

მუხლი 3

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც მიზანშეწონილად ჩაითვალა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებიდან გამომდინარე, ასევე ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებსა და მონიტორინგის მექანიზმებს, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მითითებით.

მუხლი 4

საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სამოქმედო გეგმით დასახული ღონისძიებების შესრულებას.

**მუხლი 5**

საბიუჯეტო წლის დასრულებამდე სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა უწყება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/მიმდინარეობის თაობაზე.

მუხლი 6

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშს და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც მას გადასცემს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად.

მუხლი 7

წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინების თაობაზე, ანგარიში წარედგინება საქართველოს პარლამენტს, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად.

მუხლი 8

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტთან მიმართებაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების თაობაზე, საქართველოს მთავრობის პოზიცია საქართველოს პარლამენტს წარედგინება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №145

2015 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge,31/12/2014, 280120000.10.003.018378](http://www.matsne.gov.ge,31/12/2014,280120000.10.003.018378)) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე პერიოდში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) შეფასება განხორციელდეს ტესტირების რეჟიმში.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე სპეციალურ კითხვარში (ოჯახის დეკლარაცია) დაფიქსირებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.“.

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. 2015 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №78**

2015 წლის 17 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია ან საფოსტო გზავნილების ნუსხა – საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში.“.

2. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – საფოსტო გზავნილების ნუსხით.“.

3. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) საბაჟო დეკლარაციის (საფოსტო გზავნილების დეკლარაციის გარდა) წარდგენით ექსპორტში/რეექსპორტში/გარე გადამუშავებაში/საწყობის სასაქონლო ოპერაციიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებისა;“;

ბ) „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საფოსტო გზავნილების ნუსხით დეკლარირებული საფოსტო გზავნილებისა.“.

4. მე-18 მუხლის 7¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7² პუნქტი:



„7². საფოსტო გზავნილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის გაფორმების ადგილია გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“ – ქ.თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია.“.

5. მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საფოსტო გზავნილებით შემოტანილ საქონელზე (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან (საფოსტო გზავნილების ნუსხის წარდგენის თარიღიდან) არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა, ხოლო ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილ საქონელზე ან/და აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე – არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.“.

6. 21-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბაჟო დეკლარაციის სახეებია:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია;

გ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია;

დ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;

ე) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია;

ვ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია.“;

ბ) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილით შემოტანისას.“.

7. „დანართი №IV-01“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

8. 46-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 46. საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) გაფორმება“;



ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საფოსტო გზავნილები (ელექტრონული შესყიდვის გზით შექმნილი საქონლის გარდა) საგადასახადო ორგანოს წარედგინება გადამზიდველის მიერ მომზადებული საფოსტო გზავნილების ნუსხებით:

ა) დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხა №1 (დანართი №IX-03);

ბ) დეკლარირებას დაუქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №2 (დანართი №IX-04);

გ) დაუდგენელი ღირებულების საფოსტო გზავნილების ნუსხა №3 (დანართი №IX-05).“;

გ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნუსხები, საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გადამზიდველის მიერ რეგისტრირდება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (rs.ge) საშუალებით, ხოლო ამობეჭდილი და გადამზიდველის მიერ დამოწმებული ეგზემპლარი წარედგინება გაფორმების ორგანოს.“.

9. „დანართი №IX-02“-ის შემდეგ დაემატოს „დანართი №IX-03“, „დანართი №IX-04“ და „დანართი IX-05“ თანდართული რედაქციით.

10. ინსტრუქციას დაემატოს IX¹ თავი შემდეგი რედაქციით:

„თავი IX¹

ელექტრონული შესყიდვის გზით შექმნილი, საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გაფორმება

მუხლი 46¹. საფოსტო გზავნილების დეკლარაცია

1. საფოსტო გზავნილების დეკლარაციით (დანართი №IX¹-02) შესაძლებელია გაფორმდეს:

ა) ელექტრონული შესყიდვის გზით შექმნილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონელი, რომლის იმპორტიც არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელებისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია);

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილებით გასატანი საქონელი.

2. საფოსტო გზავნილების დეკლარაციას ავსებს გადამზიდველი, რომელიც ახორციელებს პირის (საფოსტო გზავნილის მიმღების/გამგზავნის) წარმომადგენლობას.



3. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია წარმოადგენს:

ა) საქონლის ზოგადი დეკლარირების დოკუმენტს;

ბ) იმპორტის საბაჟო დეკლარაციას და მისი თითოეული სტრიქონი (თითოეულ საფოსტო გზავნილზე) ითვლება ცალკე საბაჟო დეკლარაციად, რომლის დამუშავება (შემოწმება, შეფასება) ხორციელდება გზავნილზე შტრიხ-კოდის წამკითხველის გადატარებით, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება მწვანე, ლურჯი, ყვითელი ან წითელი დერეფანი.

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილით გასატანი საქონლის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია წარმოადგენს ექსპორტის საბაჟო დეკლარაციას და მისი თითოეული სტრიქონი (თითოეულ საფოსტო გზავნილზე) ითვლება ცალკე საბაჟო დეკლარაციად.

მუხლი 46². ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გაფორმება

1. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის მიმღები (დეკლარანტი) ვალდებულია, გადამზიდეველს ელექტრონული ფორმით მიაწოდოს „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაცია“ (დანართი №IX¹-01).

2. „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციას“ დეკლარანტი ავსებს საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ნასყიდობის დოკუმენტის (ინვოისის) საფუძველზე.

3. საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი (ინვოისი) ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან და იგი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნისამებრ წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს.

4. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილებით (შემდგომში – საფოსტო გზავნილი) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, გადამზიდეველი ავსებს:

ა) საფოსტო გზავნილების დეკლარაციას (დანართი №IX¹-02) – საფოსტო გზავნილებზე, რომლებით შემოტანილი საქონლის იმპორტიც არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელებისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია);

ბ) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, იმპორტის გადასახდელებით დაბეგრას ან/და არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №4-ს (დანართი №IX¹-03) (შემდგომში –ნუსხა №4).



5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადებისას გადამზიდეველი იყენებს საფოსტო გზავნილის მიმღების მიერ მიწოდებული „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციის“ მონაცემებს.

6. თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ღირებულება ან/და სხვა მონაცემები დაუდგენელია, შესაძლებელია, საფოსტო გზავნილის მიმღების ან გადამზიდეველის მოთხოვნით, შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდეს საქონლის ექსპერტიზა ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

7. საფოსტო გზავნილების დეკლარაცია, რომელსაც თან ერთვის „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციები“, და ნუსხა №4, საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გადამზიდეველის მიერ რეგისტრირდება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (rs.ge) საშუალებით, ხოლო ამობეჭდილი და გადამზიდეველის მიერ დამოწმებული ეგზემპლარი წარედგინება გაფორმების ორგანოს.

8. იმ შემთხვევაში, თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში ვერ ხორციელდება, საფოსტო გადამზიდეველი ვალდებულია, ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და წესით წარადგინოს ზოგადი დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებელი, ელექტრონული შესყიდვის გზით შექმნილი საფოსტო გზავნილების ნუსხა №5 (დანართი № IX¹-04) (შემდგომში – ნუსხა №5), რის შემდგომაც ზოგადი დეკლარირების ვადა იზრდება 5 სამუშაო დღით.

9. ნუსხა №4 წარმოადგენს საქონლის ზოგადი დეკლარირების, საფოსტო გზავნილის გადამზიდეველის საწყობამდე გადადგილებისა და დროებით შენახვის დოკუმენტს.

10. ნუსხა №4-ით წარდგენილ საქონელზე გადამზიდეველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის დროებით შენახვა საბაჟო საწყობში ან თავის საწყობში, რომელსაც მინიჭებული უნდა ჰქონდეს საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილის კოდი შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის შესაბამისად და უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის დაცულობას;

ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს მიმღების ვინაობის დადგენა, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება, რეგისტრაცია და საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა (რაც დასტურდება აღნიშნული დეკლარაციის ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით) ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნება (რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით);

გ) ხელმოწერილი გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია (რომელსაც თან ერთვის „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციები“) ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტი, არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 15 რიცხვისა, წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს.



11. საფოსტო გზავნილით შემოტანილი, არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებული საქონლის მიმღებზე გადაცემა გადამზიდველის მიერ განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის/ლიცენზიის წარდგენისას. აღნიშნული დოკუმენტი გადამზიდველის მიერ წარედგინება საგადასახადო ორგანოს, ხელმოწერილ გამარტივებულ საბაჟო დეკლარაციასთან ერთად.

12. გადამზიდველს უფლება აქვს, განხორციელოს საფოსტო გზავნილების დეკლარაციაში ან/და ნუსხა №4-ში ცვლილების შეტანა გაფორმების ორგანოს მიერ მისი დამუშავების (შემოწმება, შეფასება) დაწყებამდე.

13. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის თანმხლებ დოკუმენტებში საქონლის ღირებულება მითითებულია უცხოურ ვალუტაში და გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეიცვალა ლარის კურსი იმდენად, რომ საქონლის ღირებულება არ აღემატება დაუბეგრავ რაოდენობას, გადამზიდველს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება საფოსტო გზავნილების დეკლარაციაში და ნუსხა №4-ში.

14. თუ ზოგადი დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში არ მოხდა გადამზიდველის მიერ საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა ან გამომგზავნისათვის დაბრუნება, აგრეთვე არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებულ საქონელზე შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენა, საფოსტო გზავნილი, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა, გადამზიდველის წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაეცემა საგადასახადო ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან განადგურებას.“.

11. 46² მუხლის შემდეგ დაემატოს „დანართი №IX¹-01“, „დანართი №IX¹-02“, „დანართი №IX¹-03“ და „დანართი IX¹-04“ თანდართული რედაქციით.

12. 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) გაფორმების საგადასახადო ორგანოში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან საფოსტო გზავნილების დეკლარაციის (დანართი № IX¹-02) წარდგენით – საფოსტო გზავნილით გასატანი საქონლის შემთხვევაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



დანართი №IV-01

**სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას საჭირო
ძირითადი დოკუმენტები**

შენიშვნა: საჭირო დოკუმენტი შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის სვეტში მინიშნებულია ვარსკვლავით

დოკუმენტის დასახელება	იმპორტი	საწყობო	რეექს პორტი	დროებითი შემოტანა	ექსპორტი	ტრანზიტი	შიდა გადამუშავება	გარე გადამუშავება
<p>საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი:</p> <p>ა) ხელშეკრულება ან ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან გ) სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი</p> <p>შენიშვნა: 1. თუ საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას, საბაჟო დეკლარაციას უნდა დაერთოს იმპორტიორის მიერ შედგენილი და დამოწმებული საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია დანართი №IV-04-ის შესაბამისად, ხოლო აღნიშნული დოკუმენტების არარსებობისას – საქონლის დათვალიერების აქტი/ექსპერტის დასკვნა.</p> <p>2. სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციას უნდა დაერთოს იმპორტიორის მიერ ნასყიდობის დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი და დამოწმებული საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია დანართი №IV-04-ის შესაბამისად.</p> <p>3. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილ, საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე საფოსტო გზავნილების დეკლარაციას ან გამარტივებულ საბაჟო დეკლარაციას უნდა დაერთოს საქონლის მიმღების (დეკლარანტის) მიერ ნასყიდობის დოკუმენტის (ინვოისის) საფუძველზე შევსებული „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაცია“ დანართი №IX¹-01-ის შესაბამისად.</p>	*	*	*	*	*	*	*	*



სატრანსპორტო დოკუმენტი:	*	*	*	*	*	*	*	*
ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი;								
ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - კონოსამენტი;								
გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ავიაზედდებული;								
დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - სარკინიგზო ზედნადები.								





დანართი №IX-03

დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხა №1
პასუხისმგებელი პირი:საბაჟოს აღნიშვნა:

№	გზავნილის მიმღების სახელი	გზავნილის მიმღების გვარი	გზავნილის №	გამომგზავნი ქვეყანა	საქონლის წონა	შენიშვნა

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

თარიღი:



დანართი №IX-04

დეკლარირებას დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №2

№	გზავნილის მიმღების სახელი	გზავნილის მიმღების გვარი	გზავნილის №	გამომგზავნი ქვეყანა	საქონლის ჭონა	შენიშვნა

პასუხისმგებელი პირი:საბაჟოს აღნიშვნა:

_____ (სახელი, გვარი)

_____ (ხელმოწერა)



დანართი №IX-05

დაუდგენელი ღირებულების საფოსტო გზავნილების ნუსხა №3

№	სახელი	გვარი	გზავნილის №	გამომგზავნი ქვეყანა	საქონლის წონა	შენიშვნა

პასუხისმგებელი პირი:საბაჟოს აღნიშვნა:

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

თარიღი:



დანართი №IX¹-01

საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაცია

ტვირთის მიმღების დასახელება

ინტერნეტ-მაღაზიის დასახელება

გზავნილის №	საქონლის დასახელება	გადახდილი თანხა	ვალუტა
		სულ:	



დანართი №117-03

ელექტრონული შეხვედვის გზით შექმნილი, იმპორტის გადასანდელდომი დაბეგვრას ან/და არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებულ სავსტო გზავნილების ნუსხა №4

რიგ. №	გზავნილის №	გზავნილის მიმღის სახელი	გზავნილის მიმღის საიდენტიფიკაციო ნომერი	მიმღის სახელი	მიმღის მისამართი	მიმღის ტელეფონი	გზავნილის კეივანა	ინტერნეტ მისამართი	საქონლის წონა	საქონლის ღირებულება	ვალუტა



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №76

2015 წლის 13 მარტი, ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 23⁵ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №64**

2015 წლის 4 მარტი, ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, N172, მუხლი 2552) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 61-ე მუხლის:**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 3 წლით, თუ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თავდებობის ხელშეკრულება, წარდგენილია საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი, ან/და თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულია პირის ქონება, რომლის ღირებულება უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების გადახდევინებას.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დამატოს 1¹ და 1² პუნქტები შემდეგი რედაქციით:



„1¹. საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება შეიძლება გადავადდეს არაუმეტეს 1 წლით, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს.

1². ამ მუხლის პირველ და 1¹ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოს უფროსი.“;

გ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების მოთხოვნის შემთხვევაში საბანკო გარანტია ან დაზღვევის პოლისი ან ექსპერტის/აუდიტორის დასკვნა საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ, ხოლო, თავდებობის გამოყენების შემთხვევაში ამ წესის №29¹ დანართის შესაბამისი განცხადება, რომელსაც უნდა ერთოდეს ამავე წესის 65² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დოკუმენტი.“.

2. 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ განცხადება პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანოს უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ, რომელიც ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასეთ შემთხვევაში, უქმდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების საფუძველად გამოყენებულია საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება არ უქმდება აგრეთვე, ამ წესის 61-ე მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შემთხვევაში.“.

3. 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. თუ საგადასახადო დავალიანება გადავადებულია ამ წესის 61-ე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძველით გაუქმდა გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №62

2015 წლის 25 თებერვალი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №2-ში:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

468	4108	ა(ა)იზ - ზუგდიდდასუფთავება
-----	------	----------------------------

ბ) №674 ბიუჯეტის განმკარგველის - „4314“-ის (ა(ა)იზ - ეროვნული სკრინინგ - ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური) შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„675	4315	ა(ა)იზ - „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“
676	4316	ქ. ქუთაისის ააიზ - „სპეციალური სერვისები“
677	4317	ა(ა)იზ - „ქ. გორის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების და მოვლა-პატრონობის
678	4318	ა(ა)იზ - ქ. თელავის სპორტული კლუბთა გაერთიანება „თელავი“
679	4319	ა(ა)იზ - ქალაქ ახალციხის „სათნოების სახლი“
680	4320	ა(ა)იზ - „თბილისელების ადვოკატი“.

2. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №3-ში (ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები):



ა) სახაზინო კოდი - „3460“-ის (წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრები) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

მიზნობრივი გრანტი	7000
-------------------	------

ბ) სახაზინო კოდი - „7520“-ის (ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდები:

შემოსულობა სსიპ/აიიპ-ს საკუთრებაში არსებული სხვა კულტივირებული აქტივების გაყიდვიდან	7620
შემოსულობა სსიპ/აიიპ-ს საკუთრებაში არსებული სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	7630

გ) ამოღებულ იქნეს სახაზინო კოდები:

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატას მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7077
სსიპ - რეფორმების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7141
საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7142
სასწავლო ცენტრების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7147
საგანმანათლებლო (პროფესიული და უმაღლესი) დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7251

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის****ბრძანება №35/04**

2015 წლის 26 მარტი, ქ. თბილისი

„მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №23/01 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №23/01 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

გიორგი ქადაგიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის**ბრძანება №36/04**

2015 წლის 27 მარტი, ქ. თბილისი

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №90/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**



მუხლი 1

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №90/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველ მუხლს დამატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

„4. ამ წესის მიზნებისთვის მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტი არის საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის ელექტრონული ფულის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთს:

ა) მისი საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ცალკეული გადახდის ოპერაციის განხორციელება, რომლის ოდენობა არ აღემატება 70 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, ხოლო თუ ამ ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში, მაშინ ოპერაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 140 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში;

ბ) მისი საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამური ოდენობა დღეში არ აღემატება 350 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, ხოლო თუ ამ ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში, მაშინ ოპერაციების ჯამური ოდენობა არ აღემატება 1500 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში;

გ) მასზე დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლებელია შენახულ იქნეს ელექტრონული ფული, რომლის ოდენობა აღემატება 1500 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში.“.

2. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს პროვაიდერის მიერ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის არსებულ ყველა ცვლილებას;

დ) ინფორმაცია პროვაიდერის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილის (შემდგომში მნიშვნელოვანი წილის) მფლობელების შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, იურიდიული პირის შემთხვევაში - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს პროვაიდერის მიერ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის არსებულ ყველა ცვლილებას, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში - დამატებით შესაბამისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ამონაწერი ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან);“.



1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ცნობა პროვაიდერის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლეობის შესახებ, რომელიც მოქმედია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის, ხოლო უცხოეთის ორგანოების მიერ გაცემული ცნობის შემთხვევაში აღნიშნული ცნობის გაცემიდან ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღამდე პერიოდი არ აღემატება 60 დღეს;“.

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-9 პუნქტი:

„9. პროვაიდერი, გარდა იმ პროვაიდერისა, რომელიც საგადახდო მომსახურებას ახორციელებს მხოლოდ მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტებით, ვალდებულია რეგისტრაციის შესახებ განკარგულების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სააღრიცხვო ფორმის წარდგენა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამკტიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

გიორგი ქადაგიძე





შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №7061

2015 წლის 9 მარტი, ქ. თბილისი

„სსიპ – შემოსავლების სამსახურის სისტემაში გამოსაყენებელი ბეჭდების და შტამპების ფორმის, გაცემის, აღრიცხვის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 23 თებერვლის №2472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:


1. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის სისტემაში გამოსაყენებელი ბეჭდების და შტამპების ფორმის, გაცემის, აღრიცხვის და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 23 თებერვლის №2472 ბრძანებით დამტკიცებული №10 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.


2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი









შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №10485

2015 წლის 1 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1.

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გაფორმების ეკონომიკური ზონები და გაფორმების სხვა ადგილები

№	კოდი	მისამართები
1	11111; 99111	გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ;
	20111	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)



2	<p>11112; 69600</p> <p>20112</p> <p>69605</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“:</p> <p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადღია, სენაკი-ფოთის-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ;</p> <p>ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №11;</p> <p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადღია, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №11 (მხოლოდ „ოქროს სიის„ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ბათუმი, ტბელ-აბუსერიძის ქ. №11, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ბათუმის განყოფილების შენობა</p>
3	<p>11113; 69500</p> <p>20113</p> <p>69510</p> <p>69511</p> <p>69555</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“:</p> <p>ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32;</p> <p>ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ფოთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა;</p> <p>ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა;</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ოზურგეთის განყოფილების შენობა</p>
4	<p>11114; 99114</p> <p>20010</p> <p>20114</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“:</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია;</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ საფოსტო გზავნილების გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)</p>



5	<p>69221; 99221</p> <p>20002</p> <p>69000; 99000</p> <p>69043</p> <p>69250</p>	<p>საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს საქონლის გაფორმების სამმართველო: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. ;</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ საექსპორტო ან სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ.თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი - ერევანი - ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი (იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის გაფორმება განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ გაფორმების ადგილზე) ;</p> <p>ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. გორის განყოფილების შენობა</p>
6	<p>69017; 99017</p> <p>20002</p> <p>69070</p>	<p>თელავის განყოფილება: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41;</p> <p>ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის ქ. №21, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. თელავის განყოფილების შენობა</p>



7	<p>69300; 99300</p> <p>20002</p> <p>69350</p>	<p>ახალციხის განყოფილება: ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54;</p> <p>ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების შენობა</p>
8	<p>69400; 99400</p> <p>20004</p> <p>69450</p>	<p>ქუთაისის განყოფილება: ქ. ქუთაისი, ივ.ჯავახიშვილის ქ. №5 ;</p> <p>ქ. ქუთაისი, ივ.ჯავახიშვილის ქ. №5 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილების შენობა</p>
9	<p>69014; 99014</p> <p>20002</p> <p>69050</p>	<p>რუსთავის განყოფილება: ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36;</p> <p>ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);</p> <p>სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილების შენობა</p>
10	<p>11116; 99116</p> <p>11115; 99115</p> <p>20116</p>	<p>გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“ გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.;</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ სასაქონლო პარტიათა ნაკრებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმებისათვის)</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ. (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის)</p>

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 აპრილიდან.

შემოსავლების სამსახურის უფროსი
გიორგი თაბუაშვილი



i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №87

2015 წლის 24 მარტი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010
წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.0161 12,
3.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. დანართი №1-09 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 58-ე მუხლის მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე საქართველოს საბაჟო
საზღვრის გადაკვეთამდე ტრანსპორტირებისას ნსაფ-ი არ მოითხოვება. ამ შემთხვევაში,
ტრანსპორტირების დოკუმენტად ითვლება სასაქონლო დეკლარაცია.“.

3. 75⁶ მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე
და საპასპორტო კონტროლის გავლამდე, უცხოელი უფლებამოსილი გამყიდველის მიერ
გამოწერილ ქვითარს წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს, რომელიც
ქვითარის უნიკალური ნომრის მიხედვით ამოწმებს მონაცემების სისწორეს ელექტრონულ
სისტემაში. ცალკეულ შემთხვევაში, რისკის მართვის სისტემის საფუძველზე შესაძლებელია
შემოწმდეს შეძენილი საქონელი.“;



ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე უცხოელი უფლებამოსილია დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. საზღვაო ნავსადგურებში უცხოელმა შესაძლებელია დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ, თუ საპასპორტო კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტზე.“;

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. უცხოელისათვის დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა იანგარიშება დარიცხული დღგ-ის თანხიდან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის და ბანკის მიერ გაწეული მომსახურების საკომისიოს გამოკლებით.“.

4. დანართი №III-26 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

5. მე-80 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. 86-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აქციზის გადამხდელის აქციზისაგან გათავისუფლების საფუძველია „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული „პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა“.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ნაყიდი საქონლის უკან შემოტანის შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი იბეგრება აქციზით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 7 აპრილიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №84**

2015 წლის 18 მარტი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011 წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 39² მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია, ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირს, რომლის ერთობლივი შემოსავალი, საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2014 კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლება აქვს, შესაბამისი კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი.“.

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრისა.“.

3. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის, ფიზიკური პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შემოსავლების სამსახურის მიერ განისაზღვრება დამქირავებლ(ებ)ის მიერ შესაბამისი საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის (დანართი II-07) ფორმის მე-6 გრაფაში (განაცემის სახე –ხელფასი), ასევე მე-7 და მე-8 გრაფებში (განაცემის თანხა (ლარი), დაკავებული გადასახადი (ლარი)) ასახული მონაცემების საფუძველზე, ხოლო 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი შემოსავლების სამსახურის მიერ განისაზღვრება მის მიერ განხორციელებული საგადასახადო ანგარიშგების ან/და საგადასახადო აგენტ(ებ)ის მიერ შესაბამისი საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული



გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის (დანართი II-07) ფორმის მე-7 გრაფაში ასახული ჯამური მონაცემების მიხედვით.“.

4. მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის, დამქირავებლის/საგადასახადო აგენტის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-8 გრაფაში („დაკავებული გადასახადი“) ასახული თანხების ჯამი უდარდება შესაბამისი საანგარიშო თვეების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში მითითებულ (დეკლარაციის დანართი „ა“) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის თანხას; სხვაობის არსებობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ფიზიკურ პირს უარი უთხრას დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე. აღნიშნული შედარება არ ეხება იმ გადასახადის გადამხდელებს, რომელთა მიმართ შესადარებელ პერიოდზე მიმდინარეობს/ჩატარებულია საგადასახადო შემოწმება, გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების შესახებ ან/და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობის აღმოფხვრა იწვევს საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებულ საგადასახადო პერიოდზე (პერიოდებზე) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დეკლარაციით საგადასახადო ვალდებულებების შემცირებას.

9. დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის საფუძველზე საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, ხოლო 2014 კალენდარული წლის მიხედვით დაუბეგრავი მინიმუმის მიზნისათვის დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის საფუძველზე საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან განთავისუფლებული შემოსავალი.“.

6. მე-11 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. დეკლარაციაში მიეთითება პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი, ბანკის დასახელება, ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი, დეკლარირებული თანხის ოდენობა, დასაბრუნებელი თანხის ოდენობა და დეკლარაციის შევსების თარიღი.

12. დეკლარაციის შევსების მიზნით პირი ვალდებულია განაცხადოს თანხმობა შემოსავლების სამსახურის მიერ დეკლარაციაში მითითებული საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის ამ პირისადმი კუთვნილების ნამდვილობის შესახებ ინფორმაციის ბანკისაგან მიღების თაობაზე. ასევე პირი განაცხადებს თანხმობას მის მიერ შეტანილი მონაცემების ნამდვილობის გადამოწმების შესახებ იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებთან. აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაუბეგრავი მინიმუმის საკითხთან დაკავშირებით.“.

**7. მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„14. პირს, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი თანხა უბრუნდება მისი საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით. შესაბამისად, დეკლარაციაში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს პირის საგადასახადო დავალიანებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) გათვალისწინებით.“.

8. მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. საგადახდო დავალება მზადდება საგადახდო დავალების მომზადების დღისთვის საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) და პირის საგადასახადო დავალიანების გათვალისწინებით.“.

9. 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება პირის მიერ დეკლარაციაში მითითებულ საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშზე.“.

10. 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 23-ე პუნქტი:

„23. დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობისას, დაგვიანებით წარდგენისას ან/და არასწორად წარდგენისას დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ზედმეტად დაბრუნების ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლის შემთხვევაში დაქირავებულს ზედმეტად დაბრუნებულ ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლილ თანხაზე საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.“.

11. მე-3-მე-5 მაგალითები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**„მაგალითი 3**

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 2 მაისს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ დამქირავებლის მიერ წარდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც ფიზიკური პირი არ მიეკუთვნება დაუბეგრავი მინიმუმის შეღავათით მოსარგებლე ფიზიკურ პირთა რიცხვს. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი დამქირავებელი პირი დაჯარიმდება ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხება 600 ლარი (300*2).



მაგალითი 4

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 10 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 100 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ X და Y დამქირავებლ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად, დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენი დამქირავებლები დაჯარიმდებიან ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხებათ: X დამქირავებელი დაჯარიმდება 200 ლარით (100×2), ხოლო Y დამქირავებელი დაჯარიმდება 400 ლარით (200×2).

მაგალითი 5

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 25 ივნისს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 300 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 100 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 140 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 300 ლარიდან დაუბრუნდება 140 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ, დადგინდა, რომ Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენი Y დამქირავებელი დაჯარიმდება ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხება 600 ლარი (300×2).“.

**12. მე-7 მაგალითი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:****„მაგალითი 7**

დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში 2013 კალენდარული წლის მიხედვით წარმოდგენილ განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციაში ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 3500 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადის თანხა კი - 100 ლარს, აღნიშნული საშემოსავლო გადასახადის თანხა წარმოადგენს 500 ლარიდან დაკავებული გადასახადის თანხას.

შესაბამისად, პირზე გავრცელებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 3000-ლარიანი შეღავათი და დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 100 ლარს.

შენიშვნა: აღნიშნულ მაგალითში გამოყენებული პრინციპი ვრცელდება ასევე 2014 კალენდარული წლის მიხედვით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე.“.

13. მე-8 მაგალითის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9-მე-13 მაგალითები:**„მაგალითი 9**

ფიზიკური პირის მიერ 2014 წლის 10 აპრილს წარდგენილი 2013 წლის დეკლარაციის თანახმად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს. X დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 160 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციით დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 200 ლარი. სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 200 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარიდან დაუბრუნდა 200 ლარი.

ფიზიკური პირისათვის თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ X და Y დამქირავებლ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისად X დამქირავებლის მიერ დაკავებულმა გადასახადმა შეადგინა 60 ლარი, ხოლო Y დამქირავებლის მიერ დაკავებულმა გადასახადმა - 140 ლარი. ფიზიკურ პირს შეუმცირდა დაუბეგრავი მინიმუმის თანხა 200 ლარამდე. ზემოხსენებული მოცემულობის გათვალისწინებით დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 40 ლარს. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენი დამქირავებლები დაჯარიმდებიან ზედმეტად დაბრუნებული ან/და ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით და სანქციის სახით დაერიცხებათ: X დამქირავებელი დაჯარიმდება 200 ლარით $((360 * (160 - 60) / 360) * 2)$, ხოლო Y დამქირავებელი დაჯარიმდება 120 ლარით $((360 * (200 - 140) / 360) * 2)$.



მაგალითი 10

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 5000 ლარს (ეს შემოსავალი არ არის გათავისუფლებული დაბეგვრისაგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მიხედვით). ამავე დროს დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-7 გრაფაში (განაცემის თანხა (ლარი)) ასახული მონაცემების ჯამი შეადგენს 3000 ლარს.

ვინაიდან 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 6000 ლარს, მას არ ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, ფიზიკური პირი ვერ ისარგებლებს შეღავათით და ეცნობება დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითი 11

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 5000 ლარს. ამავე დროს დამქირავებლის მიერ საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილ განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციაში ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 6500 ლარს, ხოლო დაკავებული გადასახადის თანხა კი - 100 ლარს, აღნიშნული საშემოსავლო გადასახადის თანხა წარმოადგენს 500 ლარიდან დაკავებული გადასახადის თანხას.

შესაბამისად, პირზე გავრცელებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი 6000-ლარიანი შეღავათი (პირი წარმოადგენს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს) და დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 100 ლარს.

მაგალითი 12

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 1000 ლარს. ამავე დროს დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვეების მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ მის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 5000 ლარს.

2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, მას ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 360 ლარს.



სახაზინო სამსახურში გასაგზავნი საგადახდო დავალების მომზადებისას პირის სალდირებული ზედმეტობა შეადგენს 200 ლარს (160 ლარი ჩათვლილ იქნა საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში). აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს დეკლარაციაში მითითებული 360 ლარიდან დაუბრუნდა 200 ლარი.

თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ ი/მეწარმემ წარმოადგინა საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის დაზუსტებული ფორმა, რომლის შესაბამისად დაუბეგრავი მინიმუმის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის არასწორად წარმდგენი ი/მეწარმის სპეციალურ ბარათზე დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენის თარიღით განხორციელდება სავარაუდო დარიცხვა 360 ლარი, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სანქციის სახით დაერიცხება 180 ლარი.

მაგალითი 13

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის მიხედვით 2014 წლის საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავალი (გარდა, X დამქირავებლისაგან და Y საგადასახადო აგენტისაგან მიღებული შემოსავლისა) შეადგენს 3000 ლარს. ამავე დროს საგადასახადო აგენტების (მათ შორის, დამქირავებლის) მიერ წარმოდგენილი საანგარიშო თვეების მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მე-7 გრაფაში (განაცემის თანხა (ლარი)) ასახული მონაცემების ჯამი შეადგენს 3000 ლარს, მათ შორის, X დამქირავებლისგან 1800 ლარი და Y საგადასახადო აგენტისგან - 1200 ლარი.

2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, მას ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. შესაბამისად, დაუბრუნდება 360 ლარი.

თანხის დაბრუნების შემდგომ დადგინდა, რომ ი/მეწარმემ წარმოადგინა საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის, ხოლო საგადასახადო აგენტებმა (მათ შორის, დამქირავებელმა) განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის დაზუსტებული ფორმა. შედეგად მეწარმის მიერ დეკლარირებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 5000 ლარი, X დამქირავებლის მიერ გაცემულმა - ხელფასმა 500 ლარი, ხოლო Y საგადასახადო აგენტის მიერ გაცემულმა თანხამ - 2000 ლარი. 2014 კალენდარული წლის მიხედვით ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 6000 ლარს და მას არ ეკუთვნის დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში, ი/მეწარმემ ერთობლივი შემოსავალი შეცვალა 2000 ლარით (5000-3000), X დამქირავებელმა გაცემული ხელფასი - 1300 ლარით (1800-500), ხოლო Y საგადასახადო აგენტმა 800 ლარით (2000-1200). ჯამში მონაცემი შეიცვალა - 4100 ლარით (2000+1300+800).



შესაბამისად, ი/მეწარმის სპეციალურ ბარათზე დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარდგენის თარიღით განხორციელდება სავარაუდო დარიცხვა 176 ლარი ($360 * (2000/4100)\%$), ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სანქციის სახით დაერიცხება 88 ლარი. X დამქირავებელს სანქციის სახით დაერიცხება 228 ლარი ($(360 * (1300/4100)\%)*2$), ხოლო Y საგადასახადო აგენტს – 140 ლარი ($(360 * (800/4100)\%)*2$).

14. „დანართი №II-08⁵“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





დანართი №II-08⁵

**დეკლარაცია
დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვეითვის შესახებ**

დეკლარაციის ტიპი _____ პირველადი _____ დაზუსტებული _____

თანახმა ვარ შემოსავლების სამსახურმა ბანკიდან მიიღოს ინფორმაცია ჩემი საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშების, ხოლო სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოდან -პერსონალური მონაცემების შესახებ*

(აღნიშნული ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაუბეგრავი მინიმუმის საკითხთან დაკავშირებით).

ფიზიკური პირის სახელი და გვარი _____

პირადი ნომერი																				
---------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ფიზიკური პირის მისამართი _____

საკონტაქტო მონაცემები: მობილური ტელ:

ელ. ფოსტა _____

დაუბეგრავი მინიმუმის მიღების კალენდარული წელი-----

ბანკის დასახელება _____

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი

დეკლარირებული თანხა

პირის დავალიანების გათვალისწინებით დაბრუნებას ექვემდებარება



დეკლარაციაში მითითებული დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს საგადახდო დავალების მომზადების დღისათვის პირის საგადასახადო დავალიანებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციის (მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაციის) გათვალისწინებით.

თარიღი: „ „ _____ „ 20
წელი“

* შენიშვნა: აღნიშნული უჯრის შევსება სავალდებულოა. აღნიშნეთ „V“ნიშნით.“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №82

2015 წლის 18 მარტი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010

წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 77-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 77¹ მუხლი:

„მუხლი 77¹. ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი

1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 კოდში მითითებული ფილტრიანი სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე და უფილტრო სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ლერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ჯამს.



2. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა, მომდევნო წლის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისათვის შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია, მის მიერ წარმოებული/იმპორტირებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის დასახელების/ქვედასახელების და თითოეული მათგანის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

3. შემოსავლების სამსახური ვალდებულია, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ყოველწლიურად, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ნოემბრისა, წარუდგინოს ინფორმაცია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

4. შემოსავლების სამსახურის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასებისა და ამ საქონელზე შესაბამისი წლის 6 თვის განმავლობაში - იანვარიდან მარტის და ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული ფასების საფუძველზე. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ამომწურავ ჩამონათვალს, მათი დასახელების/ქვედასახელების და შესაბამისი საცალო სარეალიზაციო ფასის მითითებით.

5. საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასების განსაზღვრისას გაითვალისწინება „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ მხოლოდ 52.1 და 52.2 კოდებით გათვალისწინებულ საქმიანობის ობიექტში რეალიზებული თამბაქოს პროდუქციის საცალო სარეალიზაციო ფასი.

6. საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასს შორის არაუმეტეს 6 პროცენტის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოიყენება საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

7. თუ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიწოდებულ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასსა და შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ფასის შესახებ მონაცემებს შორის სხვაობა აღემატება 6 პროცენტს, გამოიყენება შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი.

8. აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში.



9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი გამოიყენება, მხოლოდ აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის.

10. სავაჭრო ქსელში ამ საქონლის საბოლოო მოხმარებისთვის დაწესებულ სარეალიზაციო ფასსა და აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასს შორის გამოვლენილი განსხვავება არ შეიძლება გახდეს საქონლის მწარმოებლისათვის/იმპორტიორისთვის აქციზის თანხის დამატებით დარიცხვის საფუძველი.

11. თუ მწარმოებელი/იმპორტიორი გეგმავს ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის (თამბაქოს ნაწარმის, რომლისთვისაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ არ არის დადგენილი საცალო სარეალიზაციო ფასი) წარმოებას/იმპორტს, იგი ვალდებულია აღნიშნული საქონლის წარმოებამდე/იმპორტამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე შემოსავლების სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის დასახელების/ქვედასახელების და სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

12. ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს სარეალიზაციო ფასის მითითებით, რის საფუძველზეც ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. აღნიშნული ბრძანება ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის სავაჭრო ქსელში რეალიზაციის დაწყებამდე ეგზავნება მხოლოდ იმ მწარმოებელს/იმპორტიორს, რომლის ინფორმაციის საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი ფასის დადგენა.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასებზე დაყრდნობით.

14. მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ახალი ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების შესახებ საგადასახადო ორგანოსთვის ინფორმაციის წარუდგენლობის ან/და დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, ახალი ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენამდე, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით მის მიმართ გამოიყენება შესაბამისი დასახელების თამბაქოს პროდუქციისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასი.

15. მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ახალი დასახელების თამბაქოს ნაწარმის წარმოების/იმპორტირების შესახებ საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობის ან/და დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში -ახალი დასახელების თამბაქოს ნაწარმისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენამდე, აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნით მის მიმართ გამოიყენება თამბაქოს პროდუქციისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი მაქსიმალური საცალო სარეალიზაციო ფასი.



16. საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასების დადგენამდე.

17. ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმის სავაჭრო ქსელში საცალო რეალიზაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის განმავლობაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია დამოუკიდებლად, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, განსაზღვროს საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი და თუ ამ საქონელზე დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასსა და მის მიერ განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობა 6 %-ზე მეტია, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, აღნიშნულ საქონელზე ახალი საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით.

18. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც საქონლის იმპორტიორის/მწარმოებლის მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია, შემოსავლების სამსახური ამ მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ ინფორმაციას.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის იმპორტიორს უფლება აქვს, ახალი დასახელების/ქვედასახელების თამბაქოს ნაწარმზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში, საკუთარი ინიციატივით, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში განხორციელოს შესაბამისი ცვლილებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

20. ამ მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, პირს, საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

21. შემოსავლების სამსახურში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემოსავლების სამსახურის მიერ საცალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგიას ამტკიცებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

22. საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურისაგან გამოითხოვოს ამ მუხლის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის მიერ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომლის გაცემაც არ არის შეზღუდული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

2. 112-ე მუხლის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8-მე-11 პუნქტები:



„8. 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია, არაუგვიანეს 2015 წლის 25 მარტისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია, მის მიერ წარმოებული/იმპორტირებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის დასახელების/ქვედასახელების შესახებ, ხოლო არაუგვიანეს 2015 წლის 15 აპრილისა - ინფორმაცია საქონლის სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ.

9. 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს არაუგვიანეს 2015 წლის 25 აპრილისა, ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ინფორმაციისა და 2015 წლის 25 მარტიდან 20 აპრილამდე პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საცალო სარეალიზაციო ფასების საფუძველზე, წარუდგენს ინფორმაციას ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ.

10. 2016 წლისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახური საქართველოს ფინანსთა მინისტრს ინფორმაციას საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების დასახელებისა და მათი საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ წარუდგენს საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და 2015 წლის აპრილიდან მაისის და ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებულ ფასებზე დაყრდნობით შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საცალო სარეალიზაციო ფასების საფუძველზე.

11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის წარდგენილი ინფორმაცია უნდა მომზადდეს ამ ინსტრუქციის 77¹ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



Интеллектуальный капитал, как источник конкурентного преимущества компании

Ирма Дихаминджия,

*Доктор экономики, Ассоциированный Профессор
Сухумского Государственного Университета.*

Барыбина Янина Александровна

*кандидат экономических наук, доцент
кафедры менеджмента Высшего учебного заведения Укоопсоюза
“Полтавский Университет Экономики и Торговли”*

В новой тысячелетии все больше людей будут выполнять интеллектуальную работу, чем физическую. Экономическое богатство в большей степени составляет знания и информация, чем процесс производства. В то время, как в прошлом экономики стран для создания стоимости зависели от использования земель, природных ресурсов, оборудования и капитала, современная информационная экономика будет зависеть от применения знания.

Для формирования новых конкурентных преимуществ и обеспечения конкурентоспособности огромное значение приобретают интеллектуальные ресурсы компании, от качества и эффективности использования которого во многом зависят результаты ее деятельности и конкурентоспособность. Главная функция интеллектуального капитала – существенно ускорить прирост массы прибыли за счет формирования и реализации необходимых компании систем знаний, вещей и отношений, которые в свою очередь обеспечивают его высокоэффективную конкурентоспособность. Менеджеры



организаций и компаний начинают осознавать тот факт, что наиболее ценным потенциалом, которым они располагают, являются знания и опыт своих сотрудников. Для упрочения своих позиций на рынке конкуренция побуждает бизнес совершенствоваться, стать «креативной корпорацией», где весьма ценным будут такие факторы, как квалификация работника, трендовые торговые марки, передовая технология, корпоративная культура, что формирует конкурентный потенциал фирмы.

Интеллектуальный капитал представляет собой капитал в том смысле, что, наряду с другими видами, является фактором производства. Это нематериальные активы, без которых компания не может существовать, усиливая конкурентные преимущества. По данным Всемирного банка и Программы развития ООН (ПРООН), сегодня на планете физический капитал, или накопленные материальные блага, составляет лишь 16 % общего достояния, природные богатства – 20 %, человеческий же капитал, или накопленные вложения в человека, – 64 %. Во многих развитых странах доля последнего достигает 80 %. Объем мирового рынка высоких технологий по разным оценкам составляет 3–4,5 трлн долл. США. В настоящее время доля России на этом рынке составляет около 0,3–1 %, для сравнения: доля США – 39 % [3].

Согласно научной литературы, существуют следующие гипотезы, связывающих интеллектуальный капитал с конкурентным преимуществом: человеческий капитал, организационный капитал, потребительский капитал. Эти гипотезы положительно влияют на конкурентное преимущество компании.

Человеческий капитал - это знания, практические навыки, творческие и мыслительные способности людей, их моральные ценности, культура труда. Человеческий капитал принципиально не может являться собственностью организации, так как является неотъемлемой частью личностей сотрудников. Организация может лишь стремиться к извлечению максимально возможной выгоды из работы каждого сотрудника, пока он работает на нее. Для достижения этой цели крайне важны такие стороны управления, как эффективное лидерство, мотивация сотрудников, управление изменениями и так далее.

Организационный капитал – это организационные возможности фирмы ответить на



требования рынка. Он отвечает за то, как человеческий капитал используется в организационных системах, преобразуя информацию. Организационный капитал в большей степени является собственностью компании и может быть относительно самостоятельным объектом купли–продажи.

Потребительский капитал – это капитал, который складывается из связей и устойчивых отношений с клиентами и потребителями. Одна из главных целей формирования потребительского капитала – создание такой структуры, которая позволяет потребителю продуктивно общаться с персоналом компании. Человеческий, организационный и потребительский капитал не находятся изолированно друг от друга, они взаимодействуют друг с другом.

Также можно условно разделить интеллектуальный капитал на две части: первая (человеческий капитал) воплощенный в работниках компании в виде опыта, знаний, навыков, способностей к нововведениям, а также к общей культуре, философии фирмы, ее внутренним ценностям; вторая (структурный капитал) включая патенты, лицензии, торговые марки, организационную структуру, базы данных, электронные сети.

Несмотря на такие, условно выделенные виды, интеллектуального капитала, одно неоспоримо, что инвестиции должны вкладываться в развитие интеллектуального капитала в целом, во все его разновидности. Организации, признающие необходимость капиталовложений в формирование, использование и развитие человеческих ресурсов для привлечения более компетентных работников, создавая благоприятные условия для креативного и профессионального развития каждого работника, имеют наибольший шанс быть конкурентоспособным в долгосрочной перспективе. Развитие лишь одной из сторон интеллектуального капитала в ущерб другим не только не принесет организации больших преимуществ, но может даже нанести ущерб. Бенджамин Франклин любил повторять, что инвестиции в знания всегда приносят наибольший доход. Предприниматели, которые проверили истинность этого утверждения на себе, не прогадали: статистика утверждает, что на предприятиях, где сотрудники постоянно обучаются за счет компании, не только значительно уменьшается текучка кадров, но и растет прибыль.



Итак, Интеллектуальный капитал – это профессиональные навыки и компетенции сотрудников, выявление более действенных механизмов мотивации их труда на основе анализа человеческого потенциала, эффективное использование каналов коммуникации и нравственные качества личности, как один из ведущих показателей ее профессиональной пригодности. В бизнесе установлено правило, постоянно заботиться о своих клиентах и сотрудниках, а рынок позаботится о тебе. Человеческие ресурсы являются ключевым ресурсом компании, от качества и эффективности использования которого во многом зависят результаты ее деятельности и конкурентоспособность. Другими словами, сотрудник представляет для компании интерес своими знаниями, опытом, навыками, способностями, отношениями и связями. Поэтому, менеджмент организации должен стремиться к созданию команды профессионалов, что требует от руководителя больших усилий. Преуспевающие компании понимают всю важность сотрудничества со своим работником. Так как работник является главным активом организации, то руководитель должен направить свои усилия на воспитание лояльного сотрудника и создание командного духа, который способствует эффективному использованию интеллектуального потенциала работников.

Формирование и использование интеллектуального потенциала в организации определяется тем, как повышается компетенция работников организации и как она используется в целях повышения конкурентоспособности организации в целом. Компетенция работников увеличивается путем их обучения, проведения тренингов, формирования соответствующей корпоративной культуры. Ситуации, когда положение на рынке лучше всего характеризуется словами “изменчивость в условиях острой конкуренции”, когда от организации требуется невиданный ранее динамизм, главными словами по отношению к людям становятся: “вовлеченность”, “соучастие”, “преданность”. Этого можно добиться с помощью эффективной мотивации. Следовательно, наиболее эффективной является система руководства, в основе которой лежит поощрительная практика. Добросовестное, инициативное выполнение распоряжений руководства, интенсивная и творческая работа в этом случае оказываются в зависимости от системы вознаграждения. Стимулирование должно быть весомым для исполнителя и посильным для фирмы. Руководитель обязан правильно определить, что для подчиненного представляет действительную ценность, обеспечить ему это вознаграждение с учетом ресурсов фирмы.

В условиях жесткой конкуренции грузинские компании поставлены перед необходимостью формирования новых конкурентных преимуществ. В числе последних особая роль отводится интеллектуальным ресурсам, которые, рассматриваются как средство достижения конкурентоспособности в долгосрочной перспективе. В настоящее время в нашей стране нехватка высокопрофессиональных кадров, что обусловлено



следующими факторами: экономическая нестабильность, высокий уровень незанятости (14,6%, для сравнения в Армении 18,64%, в Киргизии – 7,9%, Азербайджане и Казахстане – 5,6%). В таких условиях важное значение приобретает обеспечение компаний высокопрофессиональными кадрами. В Грузии действует Европейская компания («Brain Sourche International»), которая на высоком профессиональном уровне осуществляет поиск и отбор высококвалифицированных кадров в Грузии и Европе по заказу крупных компаний. Приоритеты компании в кратчайших сроках предоставить потребителю услуги Европейского уровня, что включает подбор-отбор кадров, оценку и рекрутинг, в чем используются современные, весьма эффективные технологии.

Итак, интеллектуальный потенциал отдельного человека может иметь и мировое значение, поскольку в процессе развития науки и техники не только создаются интеллектуальные новации, но и происходит развитие самих людей, а, следовательно, и развитие интеллектуального потенциала организации и общества в целом. Успехи в бизнесе можно достичь только с подходящими людьми. И хотя бизнес продвигается вперед командными усилиями, именно отдельный человек, его интеллектуальный потенциал является катализатором изменений.

ლიტერატურა:

1. Schultz T. W. Economic value of education. N. Y., 1963; Becker G. S. Human capital: theoretical and empirical analysis, with special reference to education. N.Y., 1964.
2. Эдвинсон Л., Мэлоун М., Интеллектуальный капитал. Определение истинной стоимости компании.//Новая постиндустриальная волна на Западе/ Под ред. В. Л. Иноземцева. М.: Akademia, 1999, стр. 434.
3. Корицкий А. В. Экономическая теория. Трансформация теорий человеческого капитала и современность. Новосибирск, 2006. стр.208.



r e z i u m e

ინტელექტუალური კაპიტალი - კომპანიის კონკურენტული უპირატესობის წყარო

ირმა დიხამინჯია

სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

იანინა ბარიბინა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების „პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის“ მენეჯმენტის კათედრის დოცენტი

მკაცრი კონკურენციის პირობებში თანამედროვე კომპანიები ვალდებული არიან შექმნან ახალი კონკურენტული უპირატესობები. ახალი კონკურენტული უპირატესობების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ინტელექტუალურ რესურსებს, რომლის გამოყენების ხარისხსა და ეფექტიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული მისი კონკურენტუნარიანობა. ცალკეული ადამიანის ინტელექტუალურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროცესში იქმნება არა მარტო ინტელექტუალური ინოვაციები, არამედ ვითარდებიან თვით ადამიანებიც, შედეგად კი, კომპანიის ინტელექტუალური პოტენციალიც.



Summary

Intellectual Capital as a source of the Competitive Advantage

Irma Dikhaminija

Doctor of Economics, Associate Professor of Sokhumi State University

Barybina Yanina

Higher Educational Institution of Ukoopspilka

“Poltava University of Economics and Trade” (Ukraine)

Nowadays we are observing a growth the importance of intellectual resources as an effective tool for increasing corporate competitiveness. The hypotheses show that, human capital, organizational capital and relational capital positively influence competitive advantage. Moreover the positive influence of intellectual capital on strategy formulation and the positive influence of strategy formulation on competitive advantage constitute the basis for the hypothesis; intellectual capital positively influences competitive advantage. If managers manage knowledge effectively, their organization will enhance their intellectual capital.





ki Txva - pasuxi

შეკითხვებს პასუხობს ჟურნალ "გადასახადების" ექსპერტი,
შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი

ბესიკ მიქელაძე

ki Txva:

შპს „ა“-მ 2010 და 2011 წელს უსასყიდლოდ მიიღო ძირითადი საშუალებები, რომლებიც ექსპლოატაციაში შევიდა მიღებისთანავე, მათი ღირებულება საბაზრო ფასით ასახა ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითა სრულად, საწარმო იყენებს სსკ-ის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სრული გამოქვითვის მეთოდს, ხომ არ აქვს ადგილი შპს „ა“-ს მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას?

pasuxi:

2011 წლამდე გადამხდელს უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალება უნდა შეეტანა შესაბამის ჯგუფში და გამოექვითა ამორტიზაციის მეთოდით (2010 წელი), შესაბამისად 2010 წლის გამოსაქვითი ხარჯი გაიზარდა აღნიშნული აქტივის სრული ღირებულებით, რაც (დაკორექტირების შემთხვევაში) გამოიწვევს დასაბეგრი მოგების გაზრდას და დაჯარიმებას მოქმედი სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით, ხოლო 2011 წელს შპს „ა“-ს მხრიდან არ მომხდარა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა.

ki Txva:

კომპანია, რომელიც 2013 წელს აშენებდა საკუთარ სასტუმროს, მშენებლობისთვის შეძენილი მასალა-ნედლეული ასახა შეძენილ მარაგებში, მშენებლობა იმავე წელს დასრულდა და საწარმომ სსკ-ის 112-ე მუხლის მიხედვით აღნიშნული ძირითადი საშუალება გამოქვითა სრულად, გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება განისაზღვრა სსკ-ის 148-ე მუხლის მიხედვით, რამდენად მართებულია შეძენილი სამშენებლო მასალების ასახვა შეძენილ მარაგებში?

pasuxi:

კომპანიას შეუძლია საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალება სრულად გამოქვითვა (სსკ-ის 112-ე მუხლი), რომლის ღირებულებაც უნდა განისაზღვროს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით, რაც შეეხება მასალების შეძენილ მარაგებში ასახვის სისწორეს, ის სამშენებლო მასალები, რომელიც დაიხარჯა სასტუმროს მშენებლობაზე, წარმოადგენს კაპიტალიზებად ხარჯს, სსკ-ის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესი):



„გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემადგენლობაში შეიტანოს თავის საკუთრებაში არსებული დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საქონელი, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, კერძოდ, ნედლეული ან/და მასალები (გარდა კაპიტალიზებადი ხარჯებისა), რომლებიც შექმნილია შემდგომი რეალიზაციისათვის ან საქონლის წარმოებისათვის/ მომსახურების გაწევისათვის.“ აქედან გამომდინარე შექმნილ მარაგებში ასახული იმ მასალების ღირებულებით, რომლის კაპიტალიზებაც მოხდა, გაზრდილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯი და ექვემდებარება კორექტირებას.

ki Txva:

თუ შპს „X“ ახორციელებს დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ აპერაციებს, აქვს თუ არა უფლება, რომ საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებებზე იილოს დღგ-ის ჩათვლა?

pasuxi:

სსკ-ის **161-ე** მუხლის (დასაბეგრი ოპერაცია, ოპერაციის თანხა და დრო) „დ“-ქვეპუნქტის მიხედვით: დ) საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, რომლის დროსაც:

და.) დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ამ კოდექსის **148-ე** მუხლით განსაზღვრული აქტივის ღირებულებით;

დ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი;

ხოლო სსკ-ის **167-ე** მუხლის (გადასახადისაგან გათავისუფლება და მისი გამოყენების წესი) მეორე ნაწილის მიხედვით კი: ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.

აქედან გამომდინარე შპს „X“-ს უფლება აქვს საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებაზე მიილოს დღგ-ის ჩათვლა (ექსპლუატაციაში გადაცემის თარიღიდან), თუ ის ახორციელებს დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებს.

ki Txva:

შპს „Y“ ეწევა სალიცენზიო საქმიანობას და **2012** წელს მიიღო შესაბამისი საქმიანობისათვის **2** წლიანი ლიცენზია, რომლის მისაღებად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა **850** ლარი, აღნიშნული თანხა უნდა გადანაწილდეს პერიოდზე პროპორციულად და გამოიქვითოს საამორტიზაციო ანარიცხების სახით თუ შესაძლებელია მისი სრულად გამოქვითვა?

pasuxi:

სსკ-ის **113-ე** მუხლის მიხედვით (არამატერიალურ აქტივებზე საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა): „არამატერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვითება საამორტიზაციო ანარიცხების სახით, მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდის პროპორციულად. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, **1000** ლარამდე ღირებულების არამატერიალური აქტივი მთლიანად გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც შესაბამისი ხარჯი იქნა გაწეული.“ ამასთან, ამავ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: „თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა შეადგენს **15** პროცენტს.“






Jurnal i `gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT

konsul taci ebs sagadasaxado, buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria--sTan dakavSi rebul saki Txebze.

konsul taci ebi Catardeba winaswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

val utis kursi

	aSS dol ari	2.2487		+0.0052
	evro	2.3816		+0.0111
	gi rvanqa sterl ingi	3.3135		+0.0268

buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa
`oris-buRal teria- Semsavl el Ta

s a y u r a d R e b o d

Jurnal i `gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- Seswavl is daCqarebul kurss. cal keul i j gufebis dakompl eqteba moxdeba msmenel Ta Sesabamisi doneebis gaTval i swi nebi T.

saswavl o process warmarTaven am dargis cnobili i special iste bi.

msmenel Ta miReba dawyebul ia. mecadi neobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pi robe bSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77